პრობლემის გადატანა სათეატრო სივრცეში

ა.ჩხაიძის პიესა“თავისუფალი თემის“ მოტივებზე

(სარეჟისორო გადაწყვეტა)

ირენა გვიმრაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე დრამის რეჟისურის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სახელოვნებო თეორიისა და პრაქტიკის კვლევები და კულტურის მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლევან ხეთაგური, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,

თბილისი 2015 წელი

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებული, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ირენა გვიმრაძე (06.07.2015)

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის მიზნად ისახავს შემოქმედებითი კვლევას , სათეატრო სივრცეში აქტუალური პრობლემის გადატანას და სარეჟისორო ექსპლიკაციის მომზადებას-პრაქტიკული გამოყენებისათვის. ვისაუბრებ თეატრზე , როგორც კომუნიკაციის საშუალებაზე , რეჟისორზე როგორც შესაძლებლობაზე , სხვადასხვა პრობლემატური საკითხებისადმი საზოგადოების ყურადღების მისაპყრობად და სარეჟისორო ჭრილში განვიხილავ , ა. ჩხაიძის პიესა „თავისუფალი თემას „ , რომელშიც დასმული საკითხები, დღემდე ინარჩუნებს აქტუალობას.

ძირითადი საძიებო სიტყვები: „თავისუფალი თემა“, სარეჟისორო გადაწყვეტა,აქტუალური პრობლემები;